ლიტერატურული ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთ „ხაშურის მოამბის" დამატება
№11, 2 დეკემბერი, ორშაბათი, 2024 წელი

ერთი ლექსი

***

„ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის ,რამეთუ
მათი არს სასუფეველი ცათა."

ვერ ვეზიარე შენს სიმართლეს და შენს კანონებს,
რადგან ისინი ხშირად მხოლოდ უსტარს ართობენ,
და შენს წიგნებში მიმობნეულ კანონთ კანიონს
ძალიან ხშირად ერქვა ხოლმე უსამართლობა...
მე კი მეგონა, რასაც გული მეუბნებოდა,
ის იყო სწორი და, ჰოი, რომ დღესაც მჯერა, რომ
გულის სამართალს არაერთხელ ვეუბნე ოდა,
და შენს სამართალს ხშირად ვუთხარ: ,,ოღონდ ჯერ არა!"
ჯერ არ მგონია, რომ სიმართლე მუდამ შენშია,
რომ შენთვის დევნა ნეტარების არის ნიშანი,
რომ მეც შემეძლოს კანონების შენის შიშშილით,
გავიძლო სული – ჯერაც უნდო, ჯერაც მშიშარა.
და ამ ფიქრებში გაილია მთელი ცხოვრება,
არ ვარ დევნილი, რადგან, ვფიქრობ, იმ ქვეყანაში,
სადაც ნამდვილი დევნილები ვერ ცხონდებიან,
უსამართლობა, სადაც დადის ასე მარმაშით,
სადაც ვხედავ, რომ შენს სიმართლედ სახავენ ურცხვად
უსამართლობას, უზნეობას, დევნას, შერისხვას,
სადაც მასპინძლად გადიქცევა ხვალ და ზეგ უცხო
და ჩამომართმევს ჩემს უფლებებს ხვალე მე ის სხვა.
მე კი ვდგავარ და მშვიდადა ვარ იმის იმედით,
რომ სასუფეველს დაიმკვიდრებს სული ეს ჩემი,
ფეხქვეშ მეცლება დედამიწაც – რწმენაც მცირედი,
და ამ ყველაფერს მშვიდად ვხვდები, მეტიც, ვეჩვევი.
აბა, რად მინდა სასუფევლის ტკბილი შარბათი,
რაც ჩავიბარე, იმას შვილებს თუ ვერ დავუტოვ,
პარასკევია, ხვალ დადგება უფლის შაბათი
და სწორედ, ანდა, უფრო სწორად, ალბათ, ამიტომ
იმედის ერთი ნაპერწკალი ამ სულს შესჩივის,
კაეშნიანი, მაგრამ მაინც სასოფენილი,
მე ჯოჯოხეთის ცეცხლმა დამწვას თუნდაც, არ ვჩივი,
ოღონდ ჩვენს შვილებს წინ დაუხვდეთ სასუფეველი...

მურად მთვარელიძე

ახალი წიგნი

ანასხლეტებად შუაღამის მზისა
(ლირიკული აღსარება მურად მთვარელიძისა)

რელიგიური საგალობელნი, ფსალმუნთა გარდათქმანი ჩვენს დროშიც როგორ არ შექმნილა, ანა კალანდაძე თვით მაშინაც რომ გადადებდა თავს, პოლიტიკურ დარჯაკში გამოტარება რომ არ ასცდებოდა. მოგვიანებით გენო კალანდიასაც რომ უნდა ეპოვნა შთაგონება ამ სამყაროში.



გალობანი სინანულისანი კი რჩებოდა კლასიკურ ხანაში, აღარავინ რომ აღარ მიმართავდა უშუალოდ ამ განცდასა თუ ამ სტილს ადამიანის სულის ღრმა კუნჭულთა გადმოსაშლელად, ვიდრე მურად მთვარელიძე მოუნახავდა სწორედაც ამ ფორმას თავის უძინარ ფიქრებს და აქცევდა პოეტურ ციკლად თუ ლირიკულ პოემად, სახელწოდებით: „აღსარების ათი მცნება“ („ლიტერატურული გაზეთი,“ 2024, №360.) ეპიგრაფებად ჩამოლაგდებოდა ათივე მცნება, აღმსარებლის გულისგულში გამოტარებულ-გამონატანჯი, ლირიკული გმირი გულგადახსნილი რომ უნდა დამდგარიყო უფლისა და მკითხველის წინაშე, ათივე მცნება შუაღამის უფსკერო ქვევრში ანუ მის გულში ისე რომ იბობოქრებდა, ღამისაა მაჭარივით დადუღებულიყო და გადმოეხეთქა გულის ქვევრის ყველა სარქველი, ყველა ძგიდე გამოენგრია, რათა ქცეულიყო მისი უძილო ღამის თავსამკაულად.

და ლირიკული გმირი თან თეთრ ღამეს უნდა შებრძოლებოდა და თან იმედებს მობღაუჭებოდა, რომ... რომ შუაღამის მზეში თვალი მოეკრა მაცხოვრისთვის...

ანუ თავის თავში ხელშესახებად მოეპოვებინა იესო ქრისტე და ამოვლებულიყო პოეტურ ემბაზში ქრისტიანობისა: არა მხოლოდ მემკვიდრეობით გადმოცემულის, არამედ პირადადაც განცდილის.

და მკითხველი უნდა შესწრებოდა პოეტის ხელახლა დაბადების პროცესს – იდუმალს, აუხსნელს, მაგრამ ფილიგრანული, დახვეწილი სალექსო ტექნიკით მოტანილს მოყვასთა გულსა და გონებამდე, მათაც სააღსარებოდ რომ განაწყობდა... უშუალოდ უფლის წინაშე. მე ვარ უფალი ღმერთი შენი და არა იყვნენ შენდა ღმერთნი უცხონი ჩემსა გარეშეო და:

ლირიკული გმირის ხსოვნაში ამოდიოდა ბაბილონის ხრიოკი სანახები და მეწამული ზღვის მეწამული ცა, მოსე წინასწარმეტყველის კვერთხით განპობილს უკვე ისე რომ შეჰყურებდა, როგორც ზღაპარს, ან თუნდაც სიზმარს...

სურდა დაეჯერებინა, რომ: მოსეს კვერთხი სასწაულებს მართლა ახდენდა. მაგრამ ისე ღრმად გასჯდომოდა არსებაში წარმართის რწმენა, და მოგვთა უმსგავსი ბუტბუტიდან გულის ქვევრში სისხლის დუღილის ბუტბუტამდე ისეთი დიდი უფსკრული გაწოლილიყო, მხოლოდ რწმენის ხიდი თუ იხსნიდა, და ის თუ შეძლებდა, შეერიგებინა, შეეამხანაგებინა ქრისტეს ნათელთან მოგვთა ცეცხლის გადამღერება.

და ძველი რწმენის განადგურებას რომ შეუდგებოდა, ტოკვით, ცახცახით ქარებსაც შეეტოლებოდა და ათასი „რომ“ ჩამომწკრივდებოდა იმ უძინარ ფიქრთა ღამეში, რათა ბოლოს მაინც მიეღწია მისაღწეველისათვის, ზიარებოდა საზიარებელს:

და მერე თავად ქრისტე ღმერთი როცა ვიხილე, მზე შემოიჭრა ჩემი სისხლის იორდანეში.

საკუთარი სისხლის იორდანე – ესეც დასაბამი ქრისტიანულ ემბაზში ამოვლებისა და იმ ახალი სიცოცხლისა, რომელიც მოითხოვდა თანდათანობით ამოშანთვას განზრახი თუ უნებლიე ცოდვებისა.

არა ჰქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოვლადვე მსგავსი, რაოდენი არს ცათა შინა ზე და რაოდენი არს ქუეყანასა ზედა ქვე და რაოდენი არს წყალთა შინა, ქუეშე ქუეყანისა: არა თაყუანი სცე მათ, არცა მსახურებდე მათო და:

ლირიკული გმირისათვის თითქოს კერპი გახლდათ მთელი სამყარო: ვარსკვლავები, რომელთაც ყოველთვის ადარებდა ანთებულ სანთლებს; მთვარე, რომელსაც მიჯნურთა კერპად სახავდა; და უფრო მეტიც – კერპად სახავდა მზის ამოსვლასა და ცისკრის ციმციმს, რადგანაც გრძნობდა, სწორედ ისინი ანიჭებდნენ ძალას. და როგორ არ განეცადა თაყვანება მათდამი – თავისი გულის, თავის ფიქრთა, თავის დარდთა თუ უთქმელ სიხარულთა ამ უნაზესი კერპებისადმი.

ახლა კი... ახლა იდგებოდა და ამ ღამის უძინარ ფიქრებს ერთ კალაპოტს უძებნიდა მხოლოდ: იქნებ, როგორმე მივცე გზა-კვალი და ფონადაც რომ დავუფინო შუაღამის ნათლის სიზმარი, რომელიც ჯერაც არ მინახავს და რომელიც, ვიცი, უთუოდ დამესიზმრება. არა მოიღო სახელი უფლისა ღვთისა შენისა ამაოსა ზედაო და: ლირიკული გმირი თავის ცოდვათა უჯიშო ხიდან უფალს რომ ავსებდა საყვედურებით, აბა თავს ხომ არ გაიმტყუნებდა, და გაზეპირებული ფრაზებით იხსნიდა ყოველგვარ პასუხისმგებლობას:

ო, ღმერთო, როგორ გამიმეტე, ო, ღმერთო, როგორ არ დამეხმარეო...

და ეს იმიტომ: არ იცნობდა ღმერთს, გულში არა ჰყავდა და ზერელედ შეჰყურებდა ამ ცოდვილი დედამიწიდან ძე შეცთომილი – ეს უღირსი და უსამართლო, მოშველიებით იმ საყოველთაოდ გავრცელებული აზრისა: უფლის ნებით ხდება ყველაფერი, ავიც და კარგიცო... თითქოს... თითქოს უშლიდა ვინმე, კარგი ეკეთებინა.

მოიხსენე დღე იგი შაბათი და წმინდა-ყავ იგი: ექუს დღე იქმოდე და ჰქმნე მათ შინა ყოველივე საქმე შენი, ხოლო დღე იგი მეშვიდე, შაბათი არის უფლისა ღვთისა შენისაო და:

სულ პირიქით აღმოჩნდებოდა – თავისად უნდა გამოეყენებინა შაბათი, ვნებისთვის, ქარიშხლებისთვის, ლხინისა და დროსტარებისთვის, გიჟი აღზევებისა და სულის ქროლვებისათვის... და ნება-უნებურად უფლის შაბათი უნდა ექცია ცოდვის შაბათად თუ სისხლის შაბათად... ვიდრე მიაკვლევდა: ჩემო შაბათო, უხამსობის ნავსაყუდელო, სულ მეგონა, რომ ჩემი იყავი, და აი, მხოლოდ ახლა მივხვდი, ჩემი კი არა, უფლისა ყოფილხარ!..

პატივი ეცი მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილ გეყოს შენ და დღეგრძელი იყო ქუეყანასა ზედაო და:

უკვირდა ლირიკულ გმირს, აქამდე როგორ მოეღწია და დღეგრძელი რად დარქმეოდა, როცა... არც მამას უკოცნიდა ნაჯაფარ ხელებს და... არც დედის გულისძგერა ესმოდა დიდად. იგი ხომ თავისი გულის მზეს შვილის თვალებში აკიაფებდა, შვილისა, რომელიც ღამის ბურუსს იფენდა მუდამ, ეს შუქი რომ არ დაენახა... ძეს უკეთურს, ძეს უძღებს...

არა კაც ჰკლაო და: თუმც კაცი არ მოეკლა არც დანით და არც თოფით, განა რა შეღავათი გახლდათ, როდესაც ამ გადმოსახედიდან თვალნათლივ განიცდიდა:

დაუფიქრებლად, ავი სიტყვით ან თუნდ ისე, გულუბრყვილოდ ნასროლი ფრაზით რამდენი გული განეგმირა:

არადა, მუდამ ახსოვდა: სიტყვით მოკვდება ადამიანი და სიტყვითვე ცხონდებაო...

სიტყვით ცხონებისა რა ეთქვა და... სიტყვით ყოველთვის ჰკლავდა და მერე, დაცლილი სიბრაზისაგან, თავის გრძნობებს გზას უკვალავდა სიამოვნების ოაზისისკენ ისე, ვითომდა ჭიანჭველასთვისაც არასოდეს დაედგა ფეხი. არადა, ღმერთო, აღსარების მეექვსე მცნება ალბათ, ყველაზე დამთრგუნველია იმ დანარჩენ ცოდვათა შორის, რომელიც ასე უხვად არის ჩემი ცხოვრების ოკეანეში.

არა იმრუშოო და: მრუშობა ისე დამკვიდრებულიყო ამ ცოდვით სავსე სამყაროში, რომ... მრუშობად აღარც ითვლებოდა. სიყვარულისგან რომ განასხვავებდა შოთა რუსთველი? მაგრამ წუთით რომ გაცოცხლებულიყო და დაენახა, რაც ირგვლივ ხდებოდა, ალბათ, მეორედ მოკვდებოდა კაცი უკვდავი.

ოდესმე კი მოეღებოდა ბოლო მრუშობას? თავს ვერ დასდებდა ლირიკული გმირი:

ვნებათა უღელტეხილზე ბევრს არ ძალუძს, საცალფეხო ბილიკიდან ვნების უფსკრულში არ ჩაიჩეხოს. ო, რა ღრმაა ვნების უფსკრულიო.

არა იპაროო და: ლირიკული გმირიც რომ იპარავდა, უპირველესად, ალბათ, სიყვარულს, ჰპარავდა ყველას, ეკუთვნოდა თუ არ ეკუთვნოდა... ბავშვობისას – მეზობლის ალუბალზეც წაუცდებოდა ხელი, მოგვიანებით კი, წიგნებზეც...

და თუ შეეშვებოდა წიგნების მოპარვას, მითუმეტეს – ალუბლებისა, ამ ჩვევას მაინც ვერ გადაადგებდა: სიყვარულის ქურდად უნდა დარჩენილიყო დღემდე.

არა ცილი-სწამო მოყუასსა შენსა ზედა წამებითა ცრუითაო და:

უძინარ ფიქრებს კი ემახსოვრებოდათ, რამდენჯერ ეტკენინებინა გული მოყვასისათვის ლირიკულ გმირს, ისე დაეწამებინა ცილი, უკანაც კი არ მოეხედა. ახლა მიიხედავდა და... თავისი ნამოქმედარი კიდეც ჩამოახევდა სინანულის საბურველს.

ღამეულ ფიქრთა ჯვარცმის ჯვარზე ერთ მთავარ სამსჭვალად ესეც მოჩანდა და... ისე ემსჭვალვოდა, ისე უხვრეტდა ხელის მტევნებსაც და ფეხისგულებსაც, მისი ტანჯვა ქარებსაც აღარ აკვირვებდათ, რომელნიც მუდამაც ბობოქრობდნენ ღამეების ამ ჯურღმულებში.

არა გული გითქუმოდეს ცოლისათვის მოყუასისა შენისა, არა გული გითქუმოდეს სახლისათვის მოყუასისა შენისა, არცა ყანისა მისისა, არცა კარაულისა მისისა, არცა ყოვლისა საცხოვარისა მისისა, არცა ყოვლისა მისთვის, რაიცა იყვეს მოყუასისა შენისაო და:

მურად მთვარელიძის წიგნის ,,შუაღამის მზის მოლოდინში” წარდგინება
ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში

თუმც ლირიკული გმირი დასავით უყურებდა მოყვასთა ცოლებს, მათი სახლების სიკეთეც მუდამ სიამოვნებდა, მაგრამ... როდესაც იმათ ყანებს გადახედავდა, ულამაზეს მინდვრის ყვავილთა სურნელებით დამშვენებულთ, ყოველთვის სურდა, იმ ყანების უებრო სურნელს მის ნესტოებშიც შემოეღწია, თითქოს ამის ყანებს არა სდიოდათ მსგავსი სურნელი...

და არა და არ ასვენებდა ეს ხარბი ჟინატეხვა, და ახლაც ღამეულ ფიქრებში თუ რამ აშფოთებდა, უპირველესად მაინც ეს – სხვისი ყანის სურნელების მითვისება, წამში შესრუტვა... ფერთა რიალში ალმასივით ძვირფასი ნათლის მორთვა თავისი შავი ფიქრებით.

პირადი ცოდვანი ძალდაუტანებლად უნდა გადაჯაჭვოდა საერთო ადამიანურ ცოდვიანობას, დავით აღმაშენებლისა არ იყოს, პირადი აღსარებითაც რომ დამდგარიყო უფლის წინაშე და საერთოადამიანურ ცოდვიანობასაც ინანიებდა და ასე გასდებდა სულიერ ხიდს დავით წინასწარმეტყველთან, ფსალმუნებად აგალობებულთან, შორეულ გამოძახილად აგერ „აღსარების ათი მცნება“ რომ უნდა გამოსჩენოდა, მურად მთვარელიძე ასეთი ხელოვნებით, ასეთი სიღრმითა და ექსპრესიით რომ გამოაღწევდა პარადოქსებით დანაღმულ ველზე და მხოლოდ ასე შეიძლებდა, ადამიანის სწრაფვა დაკარგული ედემისაკენ მდუღარე ფიქრთა და განცდათა საუფლოდ ექცია და პოეტურ ემბაზშიც გამოეტარებინა.

„გალობანი სინანულისანი“ შეაგონებდა და დაბეჯითებითაც შეაგონებდა:

თუ თავის სულში არ გამოატარებდა ლირიკული გმირი ყოველ ადამიანურ ცოდვას, ისე იმ ოდინდელ, იმ დაკარგულ მადლს სრულებით ვერ ეზიარებოდა და ნამდვილ განცდათა ნაცვლად – მათ ასლებს თუ შესთავაზებდა მკითხველს ,სულიერი მდუღარების თანაზიარს კი რანაირად გახდიდა, თუკი თვითონაც ამ მდუღარებაში არ ამოევლებოდა.

ახლა კი დადგომოდა შლეგი ჟამი ათი მცნების შემოჭრისა სულში, ყველა სიავე, რაც ოდესმე ჩადენილიყო, მის სასთუმალთან რომ დახვავდებოდა და დაუნდობლადაც შემობღავლებდა. ლირიკული გმირი კი: გულში ჩაიხუტებდა თავისი ათი მცნების ორივე ფიცარს. რათა ეგებ მოწყალების კარი გაღებულიყო და: მის სენაკშიც შემობრწყინებულიყო მზე შუაღამისა. კიდეც რომ იელვებდა. კიდეც რომ ამოენთებოდა. კიდეც რომ შემობრწყინდებოდა – სხივმომფინარე ბილიკებზე აღსარების ათი მცნებისა...

როსტომ ჩხეიძე

პოეზია

აღსარების ათი მცნება

მცნება პირველი

„მე ვარ უფალი ღმერთი შენი
და არა იყვნენ შენდა ღმერთნი უცხონი ჩემსა გარეშე“

დაბეჯითებით მეუბნება და მეც მინდა,
რომ დავიჯერო, რომ დავერწმუნო, რომ ვმორჩილყო
ჩემი ფიქრი, ჩემი განცდა, ჩემი გულისთქმა –
ისე როგორც სინას მთაზე დაემორჩილა
პირველივე აღთქმას მოსე
ეს ენაბრგვნილი ნათელმხილველი,
მოსე – ზღაპრიდან გადმოსული უფლის რჩეული.
და მე ვინა ვარ?! ერთი მოგვი, ერთი წარმართი,
სულ რომ მძვინვარებს ჩემს ძარღვებში
ეს ბილწი სისხლის ანასხლეტი
და მახსენებს ბაბილონის ხრიოკ სანახებს,
მეწამული ზღვის მეწამულ ცას
და მოსეს კვერთხით განპობილს მერე ისე ვუყურებ,
როგორც ზღაპარს, თუ გნებავთ სიზმარს...
არადა, მინდა, დავიჯერო, რომ მართლა იყო ეს ყველაფერი,
რომ მოსეს კვერთხი სასწაულებს მართლა ახდენდა,
მაგრამ იმდენად ღრმადაა ჩემში წარმართის რწმენა,
მოგვთა უმსგავსი ბუტბუტიდან – გულის ქვევრში
სისხლის დუღილის ბუტბუტამდე ისეთი დიდი უფსკრულია,
მხოლოდ რწმენის ხიდიღა იხსნის.
ის თუ შეძლებს, რომ შეაერთოს, რომ შეარიგოს,
შეამხანაგდეს ქრისტეს ნათელთან მოგვთა ცეცხლის გადამღერება.
– მოგვი ვიყავი, მოგვი იყო ჩემი პერპერაც, – ვწერდი ერთხელ,
იმ სისხლიან ღამეთა ფიქრებს როცა ვებრძოდი
და ძველ რწმენას ვანადგურებდი, რომ ვტოკავდი, რომ ვცახცახებდი,
რომ ქარებსაც ვეტოლებოდი,
რომ და ათასი „რომ“ რომ იყო იმ უძინარ ფიქრთა ღამეში
და მერე თავად ქრისტე ღმერთი როცა ვიხილე,
მზე შემოიჭრა ჩემი სისხლის იორდანეში.

მცნება მეორე

„არა ჰქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოვლადვე მსგავსი, რაოდენი არს ცათა შინა ზე და რაოდენი არს ქუეყანასა ზედა ქვე და რაოდენი არს წყალთა შინა, ქუეშე ქუეყანისა: არა თაყუანი სცე მათ, არცა მსახურებდე მათ.“

ესეც კერპია, რასაც ახლა ვგრძნობ და განვიცდი,
ამ შუაღამის უძინარ ფიქრთა გაგიჟებისას,
ჩემი კერპი მყავს – უძილობა ,ტანჯვის სავანე
და საკუთარ თავს ახლა არა, მაგრამ თუმცა მთელი ცხოვრება
ვუყურებდი ხოლმე გარედან ისე, როგორც კერპს
და ჩემთვის თითქოს კერპი იყო მთელი სამყარო:
ვარსკვლავები, რომლებსაც მუდამ ვადარებდი ანთებულ სანთლებს,
მთვარე, რომელსაც მიჯნურების კერპად ვსახავდი
და უფრო მეტიც – კერპად ვიქციე მზის ამოსვლა, ცისკრის ციმციმი,
რადგანაც ვგრძნობდი, სწორედ ისინი მაძლევდნენ ძალას,
ჩემი სულის შლეგი ვნება თუ ნაზი ჩურჩული
მხოლოდ მათთვის გამემხილა, მათთვის მეამბო,
თუ რას ვგრძნობდი, რას განვიცდიდი...
და ის პირველი სიყვარულიც მთვარეს გავანდე,
მახსოვს, როგორც კერპს, სწორედ ისე დავუჩოქე შუაღამისას
გაზაფხულის მოყვავილე ბაღის კიდედან
და ვეჩურჩულე, ვეჩურჩულე, მას გავენდე, მას მივენდე
და როგორც შეძლო, მანაც ისე მანუგეშა და გამამხნევა.
და იმ ღამიდან ის იყო კერპი უმთავრესი ჩემი ფიქრების,
მითუმეტეს – უძინარ ფიქრთა თაიგულების,
რომლებიც მუდამ თან მომქონდა, როგორც სურნელი
ჩემ ყმაწვილურ სიმარტოვიდან...
და არა მარტო მთვარე, მერე ყველა დანარჩენს
ვუხრიდი ქედს მთელი ცხოვრება,
მათ – ჩემი გულის, ჩემი ფიქრების,
ჩემი დარდების, თუ უთქმელი სიხარულების
უნაზეს კერპებს – მათ ვთაყვანებდი...
ახლა კი ვდგავარ და ამ ღამის უძინარ ფიქრებს
ერთ კალაპოტს ვუძებნი მხოლოდ:
იქნებ, როგორმე მივცე გზა-კვალი
და ფონადაც რომ დავუფინო შუაღამის ნათლის სიზმარი,
რომელიც ჯერაც არ მინახავს და რომელიც,
ვიცი, უთუოდ დამესიზმრება.

მცნება მესამე

„არა მოიღო სახელი უფლისა ღვთისა შენისა ამაოსა ზედა.“

არა, ვერ ვიტყვი, რომ დამეგმოს იგი ოდესმე,
ჯვარი მწერია, არა, ამას ფიქრშიც კი ვერ დავუშვებდი,
მაგრამ ერთ ღამეს, იმ ფიქრიან უძინარ ღამეს,
როცა სხეული საკუთარი ნებითვე ვაცვი ძელზე,
რომელიც თვით გამოვჩორკნე ჩემივ ცოდვათა უჯიშო ხიდან,
ვუსაყვედურე და მერეც ხშირად ვსაყვედურობდი –
როგორც კი რამე გულს მატკენდა,
ან რაიმე სიძნელეს თუ ვერ გადავლახავდი,
იმწამსვე მას ვსაყვედურობდი,
თითქოს ჩემი ბრალი არ იყო ის,
რაც იმ წუთში ჩემში, ანდა ჩემთან ხდებოდა...
ამას კი ვგრძნობდი, მაგრამ, აბა,
საკუთარ თავს ხომ არ გავამტყუნებდი
და არც ისეთს რამეს ვიტყოდი, რაც თავადვე გამამტყუნებდა.
ჰოდა, სწორედ იმ წუთებში
(ასეთი კი ბევრი იყო ჩემს ცხოვრებაში) გაზეპირებულ ფრაზებს ვამბობდი:
– ო, ღმერთო, როგორ გამიმეტე, ო, ღმერთო, როგორ არ დამეხმარე...
და იცვლებოდა მერე ტექსტი საყვედურების ათასი ფორმით.
ვსაყვედურობდი ღმერთს,
რომელსაც არ ვიცნობდი, გულში არ მყავდა,
ასე ზერელედ გავყურებდი ამ ცოდვილი დედამიწიდან
ძე შეცთომილი, მე უღირსი და უსამართლო
და არგუმენტად ვიშველიებდი საყოველთაოდ ცნობილ აზრს,
რომ უფლის ნებით ხდება ყოველი – ავიც და კარგიც.
თითქოს მიშლიდა ვინმე, კარგი მეკეთებინა.

მცნება მეოთხე

„მოიხსენე დღე იგი შაბათი და წმინდა-ყავ იგი: ექუს დღე იქმოდე და ჰქმნე მათ შინა ყოველივე საქმე შენი, ხოლო დღე იგი მეშვიდე, შაბათი არს უფლისა ღვთისა შენისა“

არადა, სულ პირიქით იყო... ჩემი იყო მუდამ შაბათი...
შაბათი ვნების, ქარიშხლების, ლხინისა და დროის ტარების,
შაბათი გიჟი აღზევების, სულის ქროლვების...
თუმცა კი ვგრძნობდი მისი იყო და არა ჩემი, უფლის შაბათი...
როგორ ვაქციე ვნების შაბათად,
ცოდვის შაბათად, სისხლის შაბათად.
ისე, ვითომც არაფერი არ მომხდარიყოს...
დაღამებულზე, შაბათის ღამეს, ბედნიერი და დაქანცული
სიამოვნების კასკადებით მივწვებოდი ბილწ სარეცელზე
და ვიხსენებდი იმ გიჟურ წუთებს,
მთელი დღე რითაც თავს ვიწონებდი,
ამით ვტკბებოდი, ამით ვხარობდი და ვოცნებობდი,
რაც შეიძლება, კიდევ მალე დამდგარიყო დღე შაბათისა,
რომ გავმძღარიყავ სიბილწეთა მარათონებზე როკვა-თამაშით,
რომ ბოლომდე გამომეცალა აბორგებული უხამსობის ყველა ფიალა,
რომლის მიღმაც მუდამ იდგა
შაბათის ღამის ცოდვით სავსე შხამის სურნელი,
რომელიც ცხვირში ძმრად მადენდა ყველა იმ ვნებას,
რასაც შაბათს ვუკავშირებდი.
ჩემო შაბათო, უხამსობის ნავსაყუდელო,
სულ მეგონა, რომ ჩემი იყავი და აი, მხოლოდ ახლა მივხვდი,
ჩემი კი არა, უფლის ყოფილხარ!..

მცნება მეხუთე

„პატივი ეც მამასა შენსა და დედასა შენსა ,
რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელი იყო ქუეყანასა ზედა.“

მიკვირს, აქამდე როგორ მოვედი... დღეგრძელი მქვია...
იქნებ, ეს მხოლოდ სასჯელია იმისათვის,
როგორც ვიცხოვრე, რომ ახლა მაინც
დავინახო ყველა ის გზა – მრუდე და ბილწი,
რომელიც მუდამ მაშორებდა საუფლო გზასთან.
ვერა, ვერ ვეცი პატივი მამას,
ნაჯაფარ ხელებს არ ვუკოცნიდი,
ნაჯაფარ მხრებზე არასოდეს მივფერებივარ
და მის დაღლილ მკერდს და დაღლილ მკერდში
წკიპზე მფეთქავი გულისათვის ყური არასდროს მიმიგდია,
მკერდზე თავი არ მიმიდია და არ მითქვამს, რომ ამ გულის ფეთქვა მესმოდა...
უფრო მეტიც, არასოდეს მესმოდა მისი
და როს წაღმა გზას მიჩვენებდა,
საპირისპირო გზას ვადგებოდი
მრუდე, უკეთურს ,ცოდვებით სავსეს,
მისი გულის ფიქრისაგან გავრბოდი მუდამ...
და არც დედის გულის ძგერა მესმოდა დიდად,
თბილი სიტყვაც მენანებოდა მოხუცისთვის.
რომლის გული, სული, სხეული ჩემს სიყვარულს დაატარებდა
მთელი ცხოვრება და ვინ იცის, როგორ ელოდა,
რომ მასაც ეგრძნო სიყვარული შვილისაგან,
რომლის შობა, გაზრდა და აღზრდა უპირველესი იყო მისთვის
და თავისი გულის მზეს მუდამ ჩემს თვალებში აკიაფებდა.
უფრო სწორად – ცდილობდა, ასე ყოფილიყო...
მე კი თვალებში ღამის ბურუსს ვიფენდი მუდამ,
რომ ეს შუქი არ დამენახა...
უკეთური ძე ვიყავი ... ძეი უძღები,
მიკვირს, აქამდე როგორ მოვედი,
დღეგრძელი მქვია?!..

მცნება მეექვსე

„არა კაც-ჰკლა“

ო, რამდენი კაცი მომიკლავს...
არა დანით, არა თოფით, მაგრამ ეს რა შეღავათია?
დაუფიქრებლად, ავი სიტყვით ან თუნდაც ისე
გულუბრყვილოდ ნასროლი ფრაზით რამდენის გული განმიგმირია...
არადა, მუდამ კარგად მახსოვდა:
სიტყვით მოკვდება ადამიანი და სიტყვითვე ცხონდება იგი...
მე კი ცხონების რა მოგახსენოთ,
მაგრამ სიტყვით ყოველთვის ვკლავდი.
ბრაზმორეული არ ვინდობდი არც შინაურს და არც გარეულს,
მერე დაცლილი სიბრაზისგან მივდიოდი
და ჩემს გრძნობებს გზას ვუკვალავდი
სიამოვნების ოაზისისკენ ისე, ვითომცდა ჭიანჭველისთვის
არასოდეს დამედგა ფეხი.
არადა, ღმერთო, აღსარების მეექვსე მცნება,
ალბათ, ყველაზე დამთრგუნველია
იმ დანარჩენ ცოდვათა შორის,
რომელიც ასე უხვადაა ჩემი ცხოვრების ოკეანეში.

მცნება მეშვიდე

„არა იმრუშო.“

მთელი ცხოვრება მრუშობაა და რადგან ახლა ეს მრუშობაც
ისე დამკვიდრდა ამ ცოდვით სავსე სამყაროში,
რომ მრუშობად აღარ ითვლება.
როცა სიყვარულს ჩაენაცვლა სექსი და გრძნობის
აღვირახსნილი თავისუფლება.
უკვე აღარც კი მეჩვენება
ქალისა და კაცის ლტოლვა უნამუსობად,
უნდა გამოვტყდე, აღარა ვთვლი ამას მრუშობად.
,,იგი სხვააო“ – სიყვარულზე იტყვის რუსთველი,
– და სიძვა სხვაა, შუა დიდი უზისო ზღვარი...
მაგრამ. ო. ღმერთო, ახლა წუთით რომ გააცოცხლა
და დაანახვა რაც ირგვლივ ხდება,
ალბათ, მეორედ მოკვდებოდა კაცი უკვდავი.
ჩვენ კი ცოცხლები სულ ვმრუშობდით და ახლაც ვმრუშობთ,
და მომავალშიც მუდამ ვიმრუშებთ,
რადგან ვნებათა უღელტეხილზე ბევრს არ ძალუძს,
საცალფეხო ბილიკიდან ვნების უფსკრულში არ ჩაიჩეხოს...
ო, რა ღრმაა ვნების უფსკრული...

მცნება მერვე

„არა იპარო.“

არ იპაროო, – მეუბნება ეს მერვე მცნება,
არადა, მუდამ ვიპარავდით ყველა რაღაცას.
მეც ვიპარავდი, პირველ რიგში, ალბათ, სიყვარულს,
ვპარავდი ყველას, მეკუთვნოდა თუ არ მეკუთვნოდა
და კიდევ მახსოვს,
პატარობისას მეზობლების ბაღებში
როცა ალუბლები დამწიფდებოდა,
როგორ მიყვარდა იქ შეპარვა და
ბლის კუნწულებს არა მარტო შევექცეოდი,
ყურებზედაც კი ვიკიდებდი,
მერე უბეშიც პერანგს ქვემოთ ვიყრიდი ხოლმე,
გაუმაძღრობის ჟინით შეპყრობილს,
მეგონა, რომ მიმყვებოდა ბაღის ჭიშკრამდე
დაყურჭებული ალუბლების მთელი მარცვლები.
მაგრამ როგორც კი გადავდგამდი ნაბიჯს, მაშინვე
ჩემი პერანგის სიქათქათიდან წითელი წვენი გამოჟონავდა,
მე რომ მუდამ სისხლი მეგონა
და დედაჩემის შეშფოთებულ თვალებში ჩანდა
ჯერ შიში, მერე კი სიბრაზე – ქურდი შვილის ნაქნარის გამო...
ზოგჯერ წიგნებიც მომიპარავს,
რაც მართალია, მართალია, ჩემს წიგნმრავალ წიგნთსაცავში
მოპარული რამდენიმე წიგნიც აწყვია.
სხვა არაფერი მაგონდება, თუმც ესეც კმარა და თუმცა ახლა
აღარც წიგნებს და მითუმეტეს, არც ალუბლებს
აღარ ვიპარავ,
რა ვქნა, ეს ჩვევა ვერ გადავაგდე,
სიყვარულის ქურდი ვარ დღემდე.

მცნება მეცხრე

„არა ცილისწამო მოყუასსა შენსა ზედა წამებითა ცრუითა.“

ღამეულ ფიქრებს, ამ უძინარ ფიქრებს კი ახსოვთ,
რამდენჯერ მოყვასს ჩემსას გული ისე ვატკინე,
ისე დავწამე, ისე ვცოდე, ისე ვამტკიცე ის, რაც
ნამდვილად არ ყოფილა ისე და ისე...
ისე დავწამე ცილი მაშინ, უკანაც კი არ მოვიხედე.
და ახლა, როცა მოვიხედე უკან და ჩემმა
ნამოქმედარმა სინანულის საბურველი ჩამომახია,
ღამეულ ფიქრთა ჯვარცმის ჯვარზე ერთი მთავარი
სამსჭვალავი ესეცაა და ისე მემსჭვალვის,
ისე მიხვრეტს ხელის მტევნებს და ფეხის გულებს,
რომ ტანჯვა ჩემი ქარებსაც კი აღარ აკვირვებთ,
რომლებიც მუდამ ბობოქრობდნენ ღამეების იმ ჯურღმულებში.

მცნება მეათე

„არა გული გითქმოდეს ცოლისათვის მოყუასისა
შენისა, არა გული გითქმუოდეს სახლისათვის მოყუასისა
შენისა, არცა ყანისა მისისა, არცა კარაულისა მისისა, არცა ყოვლისა საცხოვარისა
მისისა, არცა ყოვლისა მისთვის, რაიცა
იყვეს მოყვასისა შენისა.“

არადა, მუდამ ის სურვილები გვაცოცხლებდა,
რაც მოყვასის სიყვარულს ვნებდა.
გულის სიტყვებიც თითქმის მუდამ ასეთი მქონდა...
და თუმც დასავით ვუყურებდი მოყვასთა ცოლებს
და მათი სახლის სიკეთეც სულ მსიამოვნებდა,
მაინც როდესაც იმათ ყანებს გადავხედავდი,
ულამაზეს მინდვრის ყვავილთა სურნელებით დამშვენებულებს,
სოსნებიან რილო-ჭრილოებს,
მსურდა, სულ მუდამ იმ ყანების უებრო სურნელს
ჩემს ნესტოებში შემოეღწია –
თითქოს ჩემს ყანებს არ სდიოდათ მსგავსი სურნელი.
ხარბი იყო ეს ჟინატეხვა
და ღამეულ ფიქრებში ახლა თუ რამ მაშფოთებს,
უპირველესი ესეცაა – სხვისი ყანის სურნელების მითვისება,
წამში შესრუტვა... ფერთა რიალში, ალმასივით
ძვირფასი ნათლის ჩემი შავი ფიქრებით მორთვა.

რედაქტორი ეკატერინე ბაქრაძე